ოქმი №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის **„ევროპელი სოციალისტების“** პირველი სხდომისა

5 დეკემბერი, 2025 წელი

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: იოსებ კუჭავა, შოთა ჯიშკარიანი და თამთა ბაკურაძე.

სხდომა გახსნა ფრაქციის წევრმა, იოსებ კუჭავამ. მან წარმოადგინა სხდომის შემდეგი **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** დაფუძნების შესახებ
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარის არჩევის შესახებ
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ
4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** წესდების დამტკიცებისა და ამ ფრაქციის დაფუძნების შესახებ შესაბამისი მასალების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისათვის წარდგენის შესახებ

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის პირველი სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის – **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ დაფუძნების შესახებ**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **იოსებ კუჭავამ.** მან აღნიშნა: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165[1] მუხლის თანახმად, უფლება გვაქვს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, საკრებულოში არჩეული საკრებულოს წევრებისაგან შევქმნათ ფრაქცია. ფრაქციას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელწოდება. წინადადებით შემოვდივარ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამ პარტიით წარდგენილ საკრებულოს წევრთაგან დაფუძნებულ ფრაქციას ეწოდოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტები“.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: შ.ჯიშკარიანმა და თ.ბაკურაძემ მხარი დაუჭირეს წინადადებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** დაფუძნების თაობაზე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დაფუძნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტები“** საკრებულოს შემდეგი წევრების შემადგენლობით: ~~აკაკი~~ იოსებ კუჭავა, შოთა ჯიშკარიანი და თამთა ბაკურაძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მეორე საკითხის – **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარის არჩევის შესახებ“**

ფრაქციის წევრმა, შოთა ჯიშკარიანმა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **იოსებ კუჭავას** კანდიდატურა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, **იოსებ კუჭავა**.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მესამე საკითხის – **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“**

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბატონმა იოსებ კუჭავამ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **შოთა ჯიშკარიანის** კანდიდატურა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, **შოთა ჯიშკარიანი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხის – **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ წესდების დამტკიცებისა და ამ ფრაქციის დაფუძნების შესახებ შესაბამისი მასალების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისათვის წარდგენის შესახებ“**

ფრაქციის წესდების პროექტი წარმოადგინა ფრაქციის თავმჯდომარემ, ბატონმა იოსებ კუჭავამ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი წესდების პროექტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიიჩნევენ მის დამტკიცებას წარმოდგენილი სახით .

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარე, იოსებ კუჭავა შემოვიდა წინადადებით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** დაფუძნების თაობაზე შესაბამისი მასალების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისათვის მიწოდების თაობაზე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** წესდება დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

(ფრაქციის წესდება ოქმს თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მასალები ამ ფრაქციის დაფუძნების შესახებ, მისი საკრებულოში რეგისტრაციის მიზნით, წარედგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად.

ამით, ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარე იოსებ კუჭავა